# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— კვირა, 13 აგვისტო 1900 წ. № 1209

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".

**ტელეფონი № 372.**

საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის" და გაზეთ „ცნობის ფურცლის"-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ; წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.**

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აგვისტო

**პეტერბურგი.** რუსეთ-ჩინეთის ბანკის დირექტორი პოკატილოვი პეკინიდან იწერება 1 აგვისტოს შემდეგს: „ორი თვის დამწყვდევის შემდეგ ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ. სულ მოკლულია 75 და დაჭრილი 120 კაცი; რუსთაგან მოკლულია 7 (ამათში ურევია სტუდენტი ხიტროვო) და დაჭრილია 15, ამათ რიცხვში სტუდენტი ბრაუნი, რომელიც ეხლა კარგად არის. რუსეთ-ჩინეთის ბანკი დაანგრიეს „მოკრივეებმა" 10 ივნისს; წიგნები, დოკუმენტები და საქმეები გადავარჩინეთ".

**პარიზი.** საფრანგეთის კონსული შანხაიდან დეპეშით იტყობინება 7 აგვისტოს, რომ ქალაქში მშვიდობიანობაა და ჯარების გადმოსვლისთვის საფრანგეთის კონცესიაში ხელი არავის შეუშლია. საფრანგეთის კონსული ხანკოუდან იტყობინება დეპეშით 9 აგვისტოს, რომ 7 აგვისტოს სცადეს აჯანყება; განზრახვა ჰქონდათ გადაეწვათ ბანკები და დაეწვათ... მეფის მოადგილემ მიიღო საჭირო ღონისძიება და აჯანყების მოთავეთაგან 2 სიკვდილით დასაჯა და დანარჩენები დაატუსაღა. აღმოჩენილ ქაღალდებში შეთქმულების კვალი იპოვეს.

**ბერლინი.** გერმანიის რწმუნებული იწერება პეკინიდან, რომ 1-ლ აგვისტოს ქალაქი აიღეს რუსის, იაპონიის, ინგლისის და ამერიკის ჯარებმა. ქალაქის აღების წინა ღამეს ჩინელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს საელჩოებზე, ყველაზედ მეტი წინააღმდეგობა შეხვდათ ჩრდილოეთის კარებთან რუსებსა და იაპონელებს; ამავე დროს ქალაქის ის ნაწილი, სადაც ჩინელები სცხოვრობენ, აიღეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა; ესენი მოვიდნენ საელჩოებთან 1-ლ საათზედ. ჩინელი ჯარები გადავიდნენ იმპერატორის კვარტალში; მცხოვრებლებს გულ გრილად უჭირავთ თავი.

**სოფია.** მიუხედავად რუმინულ და ბოლგარულ ჟურნალ-გაზეთების მკაცრი კილოსა, აქ არავის არ სჯერა, რომ ომი ასტყდეს. ცნობამ, შესახებ მეფე კარლოსის იშლში წასვლისა და მთავრის ფერდინანდის ვილგელმსჰეეში მიღებისა, სრულებით გააქრო ომიანობის შიში. სამხედრო მინისტრმა მტკიცედ გამოაცხადა, რომ ბოლგარიას ომი არ ჰსურსო.

**ჰააგა.** ჰოლანდიის კონსულის დეპეშა ტიანძინიდან იტყობინება, რომ ჰოლანდიის ელჩი პეკინში კიოზელი მსუბუქად დასჭრეს 31 ივლისს.

**ვაშინგტონი.** სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გამოსცა, რათა მანილიაში გაგზავნილ იქმნას 4.000 კაცი, რომელნიც ტაკუსაკენ მიდიოდნენ. მთავრობას განზრახვა არა აქვს რაიმე მნიშვნელობა მიაწეროს ხმას შესახებ მომხდარ არეულობისა შანჰაიში, რადგანაც იგი არ მტკიცდება. მეტად სარწმუნო წყაროები უარჰყოფენ იმ აზრს, ვითომც ამერიკა მარტო იმიტომ გადაიყვანს ჯარს შანჰაიში, რომ ესევე ჰქნეს დანარჩენმა სახელმწიფოებმა.

**ბერლინი.** იაპონიის წყაროდან ტოკიოდან იტყობინებიან, რომ, როგორც პეკინიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, ბრძოლა სასახლის აღებამდე, 2 აგვისტოს, მხოლოდ იმიტომ გაგრძელდა, რომ ჯარებს არ ჰსურდათ ყუმბარები ესროლათ სასახლისათვის; 3 აგვისტოს უმთავრესი კარები დაკავებული იყო და ქალაქი თითქმის სრულებით გაწმენდილი მტრისაგან, საელჩოს მცველ იაპონელ რაზმის ზარალია 6 მოკლული და 9 დაჭრილი.

**ლონდონი.** გემზის დეპეშა პეკინიდან 2 აგვისტოს, რომელიც ჩიფუში 8 აგვისტოს მოსულა, ამბობს, რომ 31 ივლისს უფროსების თათბირზე დადგენილ იქმნა, რათა შეერთებული ჯარები მისულიყვნენ 1-ლ აგვისტოს პეკინიდან 5 მილის მანძილზე და 2 აგვისტოს იერიში მიეტანათ. მაგრამ იერიში დაიწყო 1-ლ აგვისტოსვე დილით. ინგლისელ ჯარებს მოუხდათ გაელა ჩქარის მარშით 15 მილი ტუნჯუდან საშინელ სიცხეში; ამათ იერიში მიიტანეს სამხრეთ-აღმოსავლეთის კარებზე, სადაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ; ინდოეთის ჯარები შევიდნენ კარებში, მათ მიჰყვნენ დანარჩენები ცხენოსანი ჯარითა და ზარბაზნებით; უმთავრესი ძალა წავიდა საელჩოებისაკენ, სადაც 3 საათზედ მივიდა. ამ დროს მოაწყეს ბატარეია თითქოს ქალაქის კარებისათვის სასროლად, მაგრამ ამერიკისა და რუსეთის ჯარებმა აიღეს კარები სროლის დაწყებამდე. ინგლისის საელჩოში შევიტანეთ ორი ზარბაზანი, დანარჩენი „ცის ტაძართან" გავგზავნეთ. დაღამებამდე ინგლისის საელჩოში იყვნენ 400 ჯარის-კაცი. საღამოს განმავლობაში „ცის ტაძარში" ბრძოლა იყო, ჩინელებს დიდი ზარალი მოუვიდათ და ჯარებმა სამხრეთის კარები დაიკავეს.

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალი ალექსეევის დეპეშა ჩიფუდან 9 აგვისტოს: „ჩვენ საელჩოში ეხლა სრული მშვიდობიანობაა. დესანტიდან მოკლულია 5 და დაჭრილი 20; აფიცრები კარგად არიან. საელჩო მეტად დაშავებულია, რადგანაც ჩინელები მუდმივ თავს ესხმოდნენ, განსაკუთრებით 2 უკანასკნელსა და იერიშის დღეს".

**შანჰაი,** 10 აგვისტო. ვუჩანის მმართველმა ჩჯანჯინ დუანმა ბრძანა დაატუსაღონ 30 ჩინელი; ამათგან 2 სიკვდილით დასაჯა, რადგანაც ცნობილი იყო, რომ ესენი შორის იჭერდნენ თავს საიდუმლო საზოგადოებათაგან და მონაწილეობას არ იღებდნენ უცხოელებზე თავდასხმაში.

**ტიანძინი.** მტერი ორ ადგილას დაბანაკდა ცხენოსანი ჯარით ქალაქის სამხრეთ დასავლეთისაკენ. შანჰაიში მყოფმა ყველა ჯარებმა მიიღეს ბრძანება საომრად გავიდნენ; მოსალოდნელია ბრძოლა. პეკინთან შემაერთებელ გზის დასაცავად არ არის საკმარისი ძალა.

**შანჰაი,** 9 აგვისტოს. ვიდრე პეკინს მიატოვებდა, იმპერატრიცამ ჩჟილის ვიცე-კოროლად დანიშნა ჩჟაო-ძაჩჟაო, ცნობილი ელჩთა სიძულვილით.

იანშიკაიმ გაუგზავნა დეპეშა ლიხუნჩანგს, რომ მას არა ჰგონია, რომ იმპერატორმა მიატოვოს პეკინი, რადგან პეკინის გარშემო საშაშარ მდგომარეობაშია, სადაც მრავალნი ჩინელთა უკმაყოფილო ჯარის კაცნი არიან.

ამბობენ, რომ იაპონიის მთავრობამ წინადადება მისცა დაენიშნოს ჩინეთს ორი გამოჩენილი იურისტი, რომელთაც შეეძლოთ

დახმარება აღმოუჩინონ მას მიმდინარე საურთიერთო შორის საქმეების განხილვაში.

**პეკინი**, 3 აგვისტო. გუშინ ამერიკელებმა იერიში მიიტანეს ქალაქის იმპერატორის ნაწილზე და აიღეს ხუთი კარები; შემდეგ ამისა ღენერლები შეიკრიბნენ სათათბიროდ და ჯარებმა უკან დაიწიეს, რომელთაც მოუკლეს ერთი აფიცერი და ხუთი ჯარის-კაცი და დაუჭრეს 18. დღეს დილით იაპონელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა გაანთავისუფლეს პეიტანის სობორო, სადაც 30 ფრანგი შეფარებული და 10 იტალიელი იყო იმ დღიდან, რაღლესაც გარს შემოერტყნენ მათ და მოსხლიტეს სხვა უცხოელებს. დიდის თავგამოდებით იცავდნენ სობოროს. ქალაქს საიმპერატორო ნაწილს დაეცა შეერთებულთა ძალა, რომელიც ახლა ანთავისუფლებს ქალაქს მტერისაგან და შეერთებულთა დარაჯთ აყენებს სასახლის შენობებში, რომ აალილოს გაძარცვას.

**ტიანცზინი**. იაპონიის წყაროებიდან იუწყებიან, რომ პეკინში დაწესებულია სამხედრო მმართველობა, რომლის წევრებად არიან თითო წარმომადგენელი შეერთებულ სახელმწიფოებისა.

**შანჰაი**. ინგლისელებმა შანჰაიში გადმოიყვანეს 2,500 ჯარის-რის-კაცი, ფრანგებმა—120 ზღვაოსანი. ადგილობრივი გაზეთები შეუდგრად იცავენ იმ აზრს, რომ შანჰაი მხოლოდ ინგლისელებმა უნდა დაიცვან და არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩინელების გამამხნევებელს უთანხმოებას.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ შანჭაის კონფლიკტის შესახებ გაზეთები შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იტყობინებიან: ადმირალ სეიმური, ინგლისის კონსულთან თათბირისა და მთავრობისაგან სრული ნებართვის მიღების შემდეგ, წავიდა ნანკინში, სადაც იგი ნანკინის მმართველს შეკრა პირობით, რომლის ძალით ინგლისს ნება ეძლეოდა გადმოესხა შანჭაიში 3000—4000 ჯარის კაცი «ევროპიელების დასაცველად».

შიში მაინცა და მაინც არავითარი მოელოდათ უცხოელებს, მაგრამ ინგლისელ გაზეთების კორესპონდენტებმა სამსახური გაუწიეს ამ მხრივ ინგლისის მთავრობას სხვა და სხვა სენსაციონური დეპეშების გზავნით თავიანთ რედაქციებში ამათ დაარწმუნეს საზოგადოება, რომ შანჭაიშიაც მოსალოდნელია ისეთივე მოძრაობა, როგორც ჩრდილოეთ ჩინეთში.

ნანკინის მმართველთან პირობის დადებისთანავე გემებში ჩასვეს ინდოეთის 3 პოლკი შანჭაიში გადასაყვანად.

მაგრამ ინგლისელებს დაავიწყდათ, თუ მათ განგებ დაივიწყეს, რომ სხვა სახელმწიფოებსაც ჰყავთ შანჭაიში ქვეშევრდომები და რომ ისინაც მოისურვებენ ისარგებლონ ინგლისთან ერთად მიღებული უპირატესობით. მართლა ეგრეც მოხდა. ინგლისის მაგალითის მიბაძვის სურვილი პირველად საფრანგეთმა გამოაცხადა. მას მოჰყვნენ გერმანია და შეერთებული შტატები. ეს არაფრად ეჭაშნიკა ინგლისს, რადგანაც, მისი წარმოდგენით, შანჭაი ჩინეთის ნავთ-სადგურად უნდა დარჩენილიყო, სანამ იგი ინგლისის სრული საკუთრება არ შეიქმნებოდა: საერთა-შორის ოკუპაცია კი არღვევდა ინგლისელების პლანებს.

ინგლისის ჯარები მოვიდნენ შანჭაისთან 1-ლ აგვისტოს, მაგრამ მთავრობამ ბრძანა, ჯერ არ გადმოუყვანათ ისინი ნაპირზე, რადგანაც ინციდენტი დიპლომატიურად იხილებოდა. ამავე დროს თათბირი ჰქონდათ შანჭაიში მყოფ კონსულებს და ინგლისის კონსული ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი კოლეგები, რომ ინგლისის ჯარების შანჭაიში შემოსვლა აუცილებელი საჭიროებაა.

მაგრამ კონსულები მხოლოდ მაშინ იყვნენ ამისი თანახმა, თუ მაშინვე სხვა უცხოელი ჯარებიც შემოვიდოდნენ შანჭაიში. ნანკინის მმართველი კი ამის წინააღმდეგი იყო და უკანვე წაიღო ნებართვა, რომელიც მან ინგლისელებს მისცა. მაშინ ინგლისის მთავრობამ უბრძანა სეიმურს წაეყვანა ინდოეთიდან მოსული ჯარები კვიხაი-ვეიში.

ამ განკარგულების წინააღმდეგ სხვა და სხვა მხრიდან პროტესტები მოუვიდა მთავრობას. შანჭაის ბანკების კონტორებმა და სავაჭრო ფირმებმა დეპეშა გაუგზავნეს ლორდ სოლსბერის, სადაც ისინი ჯარების გადმოსხმას თხოულობდენ და არწმუნებდენ მთავარ-მინისტერს, რომ ჯარების უკან გაბრუნება სახელს გაუტეხს ინგლისის ძლიერებას ჩინელების თვალში. ამასვე ამტკიცებდნენ ყველა ლონდონელი გაზეთები. მიუხედავათ ამისა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ შანჭაი ან ისევ ჩინელების ხელში უნდა დარჩენილიყო და ან მომხდარიყო საერთა-შორისო ოკუპაცია. მოხდა უკანასკნელი: ინგლისმა გადმოსვა თავისი ჯარები და მას საფრანგეთი მოჰყვა. გერმანია და შეერთებული შტატებიც ამასვე ჰფიქრობენ.

∝ გერმანულ გაზეთების აზრით, შემცდარი იქნება, ვინც იფიქრებს, რომ ჩინეთის სატახტო ქალაქის აღებით საქმის უძნელესი ნაწილი გათავებული იყოს. დარჩა კიდევ—ჩინეთში მტკიცე მთავრობის დაყენება, შეურაცხყოფისა და ზარალისათვის სამაგიეროს გადახდა და გარანტია, რომ შემდეგში ამისთანა არეულობა არ განმეორდება. ელჩებისა და უცხოელების დახსნა იყო აუცილებელი პირობა და არა გვირგვინი დაწყებული საქმისა.

∝ ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ პეკინის აღებისა და საკმაო დაკმაყოფილების შემდეგ ორი სახელმწიფო მაინც—შეერთებული შტატები და ინგლისი, შეიძლება იაპონიაც—თავს დაანებებენ. სახელმწიფოთა კონცერტს. თუ გერმანია ისურვებს განაგრძოს ომი თავის ელჩის სიკვდილის შურის საძიებლად, ამაში მას სხვა სახელმწიფოები არ დაეხმარებიან.

∝ საფრანგეთის გავლენიან გაზეთებშიაც ხშირად ისმის რჩევა, რომ ნაკლებ სასტიკად უნდა მოეპყრან ჩინეთს ელჩების და სხვა უცხოელების განთავისუფლების შემდეგო. ამ გაზეთების სიტყვით, საკმარისია დაჭერა რამდენიმე დიდ ადგილების მქონე ჩინელისა, რომელნიც მტრულად უყურებენ უცხოელებს და მათი საიმედო ადგილას (ისევ ჩინეთში) მეკვლად ყოლა. საჭირო არ არის ბევრი ჩინელის ამოჟლეტა არც ევროპიელებისაგან და არც ჩინეთის მთავრობისაგან; ამ ბევრში უდანაშაულოც ბევრი მოჰყვება და ეს მხოლოდ მანდარინების ინტერესებისთვის სამსახურის გაწევა იქნება.

≫ გამომშვიდობების დროს ჰანოვერში გალდერზეს, სხვათა შორის, უთქვამს: «საქმე, რომელიც მე მომანდვეს, მეტად ძნელია, მით უმეტეს რომ ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ ერთ მთავარ-სარდლის ხელქვეით ყოფილიყოს ამდენი სულ სხვა-და-სხვა ერების ჯარისკაცები. მაგრამ მე მარტო არ მივდივარ. 15,000 გერმანელ ჯარის-კაცის იქ ყოფნა სიმტკიცეს მომცემს მე. მე იმედი მაქვს, რომ გავამართლებ იმედებს და დავამტკიცებ, რომ მე ის კაცი ვარ, რომელსაც გარემოებები თხოულობენ».

კორესპონდენტების შესახებ იმავე ვალდერზეს უთქვამს, რომ სერიოზულ გაზეთების ყოველ კორესპონდენტს, თუ მას გრაფთან რეკომენდაცია ექნება, მიიღებს იგი და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს. გრაფს არ მიჰყავს თან სპეციალური კორესპონდენტი; ამიტომ კორესპონდენტების განცხადებებს მიიღებს იგი ტაკუში, სადაც კორესპონდენტებს მიანდობს გრაფის შტაბის უფროსის მზრუნველობას. გრაფის აზრით, კორესპონდენტებს მეტად მძიმე და დიდი გასაჭირი მოელით.

∝ ბანკეტზე, რომელიც ამომრჩევლებმა გაუმართეს დელკასსეს, მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ ჩინეთის კითხვის გაზვიადება არ ვარგა, მაგრამ საქმის სიმძიმის დამალვა და უარყოფაც მავნებელი არისო. ჩინეთის საქმის გადაწყვეტისათვის აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოებმა გაითვალისწინონ, რა სურთ მათ; არ მოისურვონ მათ ისეთი რამ, რაც საერთო თანხმობას დაარღვევს, და თავიანთი სურვილები განახორციელონ (ხმა ერებიდან: «მიზანი—ელჩების განთავისუფლებაა») «სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზანი საერთო მოქმედებისა. ეს მიზანი უკვე მიღწეულია. შეერთებული ჯარების იქ ყოფნა დაგვეხმარება დაკმაყოფილების მიღებაში წარსულისათვის და გარანტიის მიღებაში მომავლისათვის. როგორიც უნდა იყოს თვითეულ სახელმწიფოს სურვილები, მე ვფიქრობ, რომ ეს სახელმწიფოები სახეში იქონიებენ ჩინეთის მატერიალურ შეძლებას და რომ არც ერთი მათგანი არ ინდომებს განსაკუთრებული რამ მოსთხოვოს ჩინეთს, რადგანაც ეს თანხმობას შეშლის, უნდობლობას გამოიწვევს და საშიშ მდგომარეობას შექმნის. საფრანგეთის მთავრობა ამ აზრის იყო იმ თავითვე, ამ აზრის დარჩა მაშინაც, როცა ენერგიულ ზომების მიღება შეიქნა საჭირო და მაშინაც, როცა მოკავშირეებს გაუგზავნა წინადადება, რომლის თანახმა ყველა გახდა. არც მომავალში შესცვლის იგი თავის აზრს და ყოველთვის იმოქმედებს თანხმობით რუსეთის მთავრობასთან, რომელმაც რამდენიმე დღის წინად გამოაცხადა თავისი სრული თანხმობა მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოებთან».

∝ გერმანელების კომიტეტმა, რომელსაც მიზნად აქვს მოაწყოს ქ. მეცთან ბრძოლის 30 წლის იუბილეის დღესასწაული და რომლის წევრებად რამდენიმე გავლენიანი პირი და 3 გენერალიც ითვლება, გადასწყვიტა, რაც შეიძლება დიდებულად მოეწყოთ ეს მათთვის სადღესასწაულო იუბილეი. სხვათა შორის კომიტეტმა მიმართა სამინისტროს თხოვნით, რათა, წინა წლების მაგალითის მიხედვით, წელსაც შეღავათიანი ბილეთები მიეცათ 1870 წლის ომიანობის ვეტერანებისათვის და „Kriegsverein»-ის წევრებისათვის. სამინისტრომ გადაჭრილი უარი უთხრა კომიტეტს და თან გამოაცხადა, რომ არც ჯარი და არც სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ წელს არც ამ იუბილეის დღესასწაულში და არ სხვა მანიფესტაციებში, რომელთა საგანი 1870-ის წლის ომიანობის ეპიზოდების მოგონება იქნება. ეს პასუხი გამოწვეულია, რასაკვირველია, ჩინეთის საქმეების ზედ-გავ-

ლენით და არა იმითი, ვითომ გერმანიის მთავრობას არ ჰსურდეს იდლესასწაულოს ხსენებულ ომიანობის გამარჯვებანი.

⁂ რომიდან იწერებიან, რომ გრაფი კალდერმზე, რომელიც ნეაპოლიიდან წავა ჩინეთში, გადასცემს იტალიის ახალგაზდა მეფეს ვიქტორ-ემანუილ მე-III-ის გერმანიის იმპერატორის წერილს.

ამბობენ, ვითომც იმპერატორის სურვილი იყოს შეაგონოს იტალიის მეფეს, რათა მან უფრო დიდი მონაწილეობა მიიღოს ჩინეთის ლაშქრობაში მეტის ჯარების გაგზავნით.

რომის საზოგადოების აზრი წინააღმდეგია ამგვარი მონაწილეობის მიღებისა, რადგანაც აქედან არ გამოვლიან არავითარ სარგებლობას იტალიისათვის.

# ახალი ამბავი

✦ თელავიდან გვწერენ, რომ ამ ჟამად (10 აგვისტოს) ჩვენი მხცოვანი მგოსანი თავ. რაფიელ ერისთავი უკეთ არისო. მადაც მოსვლია, ლაპარკობს კიდეც და ნათესავთ და ნაცნობთ თავისუფლად სცნობს.

✦ კახეთის მევენახეთა საზოგადოებას გაუგზავნია პარიზის მსოფლიო გამოფენაზე 6 ბოჭკა საუკეთესო ღვინისა. გეზზე ექვსივე ბოჭკა მოუპარავთ და „საზოგადოების“ გამგეობისათვის უცნობებიათ ეს გარემოება იმ დროს, როცა გამოფენაზე არავითარ ექსპონანტს არ ილებდნენ. ასე რომ „საზოგადოების“ ღვინის ერთი ბოთლიც კი არ არის ეხლა გამოფენაზე. „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, სწორედ ქართველ მწარმოებელზე არის ნათქვამი.

✦ ამ მოკლე ხანში უნდა გაირჩეს ქალაქის სამოსწავლო კომისიაში კითხვა **შესახებ სამრეწველო სკოლის გახსნისა პროგიმნაზიის მაგიერ.** ამ კითხვის განსახილველად და სკოლის ტიპის ამოსარჩევად დანიშნული იქნება განსაკუთრებული სხდომა სულ ახლო ხანებში, რათა ამ საქმის შესახებ მოხსენების წარდგენა საბჭოსათვის შემოდგომის დასაწყისში მოხერხდეს.

✦ განზრახვა აქვთ ბათუმის ოლქის სამმართველოს მისცენ იგივე უფლებნი, რაც კავკასიის გუბერნიების სამმართველოებს აქვთ.

✦ ქარ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ორის უფასო სამკითხველოსა და ვერის ნიკოლოოზის სახელობაზე არსებულის სავაჟო საკვირაო სკოლის მმართველმა ქ-ნმა **ა. მ. თუმანიშვილმა-წერეთლისამ** გუშინ, 12 აგვისტოს, ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა, რომლითაც იგი სთხოვს გამგეობას შარშანდელივით წელსაც ფულით შემწეობა აღმოუჩინოს მისდამი რწმუნებულს სახალხო სამკითხველოებსა და საკვირაო სკოლას.

✦ სპარსეთიდან მოსულები ამბობენ, რომ წელს იქეთ აბრეშუმის მოსავალი მეტად კარგი იყო. **საფრანგეთიდან გაჭრები** კიდეც მასულან იქ პარკის სასყიდლად.

✦ საბოლოვოდ გადასწყდა შემოილონ რკინის გზის სახელოსნოებში ელექტრონის მოწყობილობა.

✦ რკინის გზებზე შემოაქვთ **სანიტარული ვაგონები.** ეს ვაგონები მოძრავი ქსენონებია, სადაც ყველაფერი იქნება, რაც კი საჭირო ავადმყოფისათვის პირველ შემწეობის აღმოსაჩენად.

✦ როგორც ვიცით, ფინანსთა სამინისტრომ ნება მისცა საკრედიტო დაწესებულებებს მისცეს სესხი გოგირდის აბანოების პატრონებს არა აბანოების ღირებულების მიხედვით, არამედ მათი შემოსავლის მიხედვით. ეს გარემოება შეძლებას მისცემს აბანოების პატრონებს რიგიანად მოაწყონ თავიანთი აბანოები. ერთი მათგანი ტფილისში კიდეც შესდგომია ამ საქმის მოწყობას. ამ მოკლე ხანში დაბახანის ხრამზე აბანოების პირდაპირ მალე ააშენებენ **ბალნეოლოგიურ სადგურს.** სადგურის შენობაში იქნება 12 ნომერი და ორი დიდი აუზი (ქალებისა და კაცებისათვის). გარდა ამისა- სადგურს ექნება 20 ნომერი მოსულ ავადმყოფების საცხოვრებლად. სადგურის წინ გაკეთებული იქნება ბაღი სეირნობისათვის. ბანაობა ეღირება 20 კაპეიკი.

✦ თანახმად ფინანსთა სამინისტროს მოხსენებისა, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა **განთავისუფლებულ იქმნას 1906 წლამდე** საერობო ორპროცენტიან გადასახადისაგან ჩაქვის საჩაე ფაბრიკა, რომელიც საუფლისწულო უწყებას ეკუთვნის.

✦ ქ. თელავიდან გვწერენ: „კვირას, 6 აგვისტოს, თელავის კლუბის დარბაზში გამართულ იქმნა რუსული წარმოდგენა ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და ქ-ნ ვლადიმიროვის მონაწილეობით. წარმოადგინეს „Испорченная жизнь“ კომედია 5 მოქმედებად, ჩერნიშევისა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ.ქ-ნი ბაჟბეუქ-მელიქოვისა, წურინოვისა, მესხიშვილისა (ბავშვია), თალ. და ლ. ვახვახიშვილები და სხვანი. თელავის საზოგადოება ამ წარმოდგენას იმდენი დაესწრო, რომ ბევრი მათგანი იძულებული შეიქმნა ფეხზე მდგარიყო. აიხადა ფარდა თუ არა, საზოგადოება დიდის ტაშის კვრით მიეგება ბ-ნს ალექსი-მესხიშვილს და მიართვეს მშვენიერი დაფნის გვირგვინი, ხოლო ვლადიმიროვისას ცოცხალი ყვავილების თაიგული მშვენიერის ლენტით.

ანდრეი კურჩაევის როლს ასრულებდა ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი ჩვეულებრივის ნიჭით და გრძნობით (ხმაც არ სუსტობდა). მეოთხე მოქმედებაში ნიჭიერმა არტისტმა იქამდის თავდავიწყებამდის მიიყვანა საზოგადოება, რომ ბევრმა ქვითინი დაიწყო. მაგრამ თუ მან ზომაზე მომეტებულად დაადონა საზოგადოება, არა-ნაკლებ გაამხიარულა იგი ქ-ნმა ვლადიმიროვისამ, რომელიც სერაფიმა კაპუსტინის როლს ასრულებდა. საუცხოვოდ შეასრულა თავისი როლი და ისე კარგად დაგვიხატა რუსის დედაკაცი, რომ თელავის საზოგადოება თავის დღეში არ დაივიწყებს მას. პეტია კურჩიევის შვილის 6 წლის ყმაწვილის როლი შეასრულა მესხიევის პატარა რვა წლის ქალმა. თავისი ქცევით, ლაპარაკით და თამაშობით განცვიფრებაში მოიყვანა საზოგადოება და რამდენჯერმე ტაშის კვრით დააჯილდოვეს და გამოიწვიეს კიდეც პატარა არტისტი ქალი. დანარჩენებიც ანსამბელს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენის გათავების შემდეგ ასტყდა ტაშის კვრა და ვაშას ძახილი, რომელიც არ შეწყვეტილა მთელი 45 წამის განმავლობაში.

✦ ქალაქის გამგეობის მესამე განყოფილებას უკვე **შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა** კუკიაში ზოგიერთ ქუჩების მოკირწყვლისა. ეს ქუჩებია—სურამისა, გორისა, ყვირილისა და ბატარეინაია. ხსენებული გამგეობა უგზავნის სახლის პატრონებს უწყებებს, სადაც უცხადებს მათ, რომ ქუჩების მოკირწყვლას ეხლავე შეუდგება, თუ სახლის პატრონები ხარჯის ნახევარს იკისრებენ.

✦ **ქალაქის ლაბორატორიის** შენახვისათვის მომავალ 1901 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია 5.190 მანეთი, 840 მანეთით მეტი წრევანდელზედ, ლაბორატორიის მიკროსკოპიულ განყოფილებისათვის კი 200 მანეთი.

# საღამოს დეპეშები

12 აგვისტო

**პეტერბურგი.** დაინიშნენ: კავალერიის მე-14 დივიზიის უფროსი გენერალი ვონლიარლირსკი კავალერიის მეორე კორპუსის უფროსად; ქვეითი მე-12-ე დივიზიის უფროსი გენერალი კარისსი არმიის მეშვიდე კორპუსის უფროსად.

**ვენა,** 6 აგვისტო. ტიანცძინთან მოხდა ბრძოლა, რომლის დროსაც ჩინელები რამდენჯერმე უკუქცეულ იქმნენ იაპონელ და ამერიკელ კავალერიის საშუალებით.

**ამოი.** ამოის მიდამოებში დიდ მანძილზე ამ მოკლე ხანში ბრბომ გაძარცვა და დასწვა ამერიკელების და ინგლისელების მისიების დიდ ძალი სადგურები, გუშინ ღამ კი ქალაქში დასწვეს იაპონელების პატარა ტაძარი. იაპონიის კონსულის მოთხოვნით კუნძულ კოვმანსოზე გადმოსვეს იაპონელი ჯარის კაცები თავიანთ თანამემამულეთა დასაცველად.

**ვაშინგტონი.** ჩაფფი დეპეშით იტყობინება პეკინიდან 5 აგვისტოს, რომ სხვა უფროსებთან ერთად იგი იზრუნებს ტიკუ-პეკინის რკინის გზის აღდგენაზედ, რათა მოკავშირეებს შეეძლოთ მითი სარგებლობა.

**ლონდონი.** გეზლის დეპეშა, გამოგზავნილი ჩიფუდან 10 აგვისტოს, იტყობინება, რომ სურსათი დარჩა ძალიან ცოტა, მაგრამ მიღებულია ზომები მის მოსატანად.

**ტიანცძინი.** იაპონელების, ამერიკელიბის და ინდიელების შეერთებულმა ჯარებმა, სულ 1075 კაცმა, დაამარცხეს „მოკრივეთა“ ჯარები ტიანცძინიდან სამხრეთ-დასავლეთით 6 მილის მანძილზე; მტერს მოუკლეს 300 კაცი და ტყვედ წაიყვანეს 64. ბევრი დაჭრილი მოკავშირეთა საავადმყოფოებში წაიყვანეს. შეერთებულ ჯარებს დაუჭრეს 11 კაცი. „მოკრივეებმა“ დატოვეს ბრძოლის ველზე ბევრი დროშები, შუბები და ხანჯლები.

**ბრიუსელი.** ბელგიელებმა, ეხლანდელ პოლიტიკურ გარემოებათა გამო, შეაჩერეს საექსპედიციო რაზმის შედგენა.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 8 აგვისტოს**

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96½ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99¾ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97⅜ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | 315 | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | 269 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | 207 | — |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | — | 85 |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 86½ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 98½ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

---

**ნ ი ხ რ ი**

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ბარკალი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
დაგაში ჯვ. მამ. I » » » 6 «
» » II » » » 4 «

---

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე,
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. გ. მ. გ.,
1 1 30 1 20
ხორ. წითელი. . . 1 1 15 —
ქერი . . . . . . 1 1 1—5—
სიმინდი . . . . . 1 — 80——
ფქვილი სოფლისა. 1 1 20——
» ფურო მდარე. 1 1 10——
კომბოსტო. . . . . 1 — 30——
კარტოფილი. . . . 1 — 65——
ხახვი . . . . . . 1 — 10——
თივა . . . . . . 1 — 25——
ბზე. . . . . . . . 1 — 23——

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკადან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 « |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 79 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფეშხვნილი „ 4 „ 80 “

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** **ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმშა ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში. პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი საღამ. 1 ს.

---



# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი აყმაწვილო სურათებიანი წიგნი ანდერსენისა:

## დედა

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ

გამოცემა

**საჩინო თურქიასი**

ფასი 8 კაპ.



---

გამომც.-გ. გუნია